საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ავჭალა

ავჭალა, თბილისის უკიდურესი ჩრდ. ნაწილი. მდებარეობს საგურამოს ქედის მთისწინეთში, მდ. მტკვრის მარცხ. ნაპირის ტერასაზე, ზ. დ. 380 მ.

ა. საქართვ. ერთ-ერთი უძველესი სოფელი იყო. ისტ. წყაროებში ხშირად მოიხსენიება. VIII–XI სს. ა. თბილ. საამიროში შედიოდა, XII–XIII სს-ში – კახეთის საერისთავოში. დიდი თურქობის დროს, XI ს. 80-იან წლებში, თურქები ზამთრობით ა-სა და დიღომში იდგნენ.

ა-თან მტკვარზე კარგი ფონი იყო, რითაც სარგებლობდნენ ლეკი მოთარეშეები. ლეკებისაგან თავდასაცავად 1734 მტკვრის გაყოლებით აშენდა ციხე და 12 კოშკი. 1887 თბილ. წყლით მოსამარაგებლად შეკრიბეს წყაროები და გაიყვანეს ავჭალის წყალსადენი.

ა-ს თავს დაჰყურებს მაღალ გორაკზე აღმართული XVII–XVIII სს. პეტრე მოციქულის ერთნავიანი ეკლესია, რ-იც კარგად ჩანს თბილისიდან მცხეთისაკენ მიმავალი გზიდან. ძეგლმა თითქმის თავდაპირველი სახით მოაღწია. ნაგებია ნატეხი ქვით და დუღაბით, მოგვიანებით შეკეთებისას ქართ. აგურია გამოყენებული. შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. საკურთხევლის ორივე მხარეს თითო ნიშია. გადახურულია კამარით. კამარასა და სახურავს შორის დიდი სამალავია (2 მ სიმაღლის) მოწყობილი.

კ. ჯავრიშვილი